



მაზე გადაწყვეტია: რადგანაც ყმაწვი-

ღები ცუდად არიან განვითარებულნი რუსულ ენაშია, ამიტომაც სწავ-

დღიური

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ჩვენს ქალაქ-

ში შემდგარია ამ ქალაქ და მოქმედებს

ამასთანავე კამისიას გარდაუწყვეტია,

ამ ქალაქ კამისიას ჯერ კიდევ არ

მარტო ტფილისის გუბერნიის პრი-

კაზნის მოვალეთა საქმე კი არა, მუ-

ამავე პრიკაზის შესახებ გავ. „ძვე-

ღუშეთიდან გვატყობინებენ, რომ

და „ორის დღის განმავლობაში იწო-

და, როგორც კლდის ნახშირს, ისე

ბოლო ამოსდობდა. მთელი სოფელი

მივიდა საწყალს სანახვად და ყველა-

ნი განცვიფრებული იყვნენ ამ გვა-

რის მოვლენითაო.

მწლი ხანს ალღევის საყდრის გატარ-

კვაზე ამბობენ, რომ გამოძიება არის

დანიშნულია. ღუშეთში და თვით

ტფილისში ლაპარაკობენ და ასხე-

ლებენ კიდევ ზოგიერთებს, რომელ-

თაც შეეძლოთ განძის გატანაო. სხვა-

თა შორის ლაპარაკობენ ერთს კაცზე

თუ ქალზე, ვერ გაუჩხევიათ რომე-

ლიც ვითომც სხვა უკანონო საქმე-

ბშიაც გაბმული ყოფილა, თრიალეთ-

ის თათრებში ამხანაგები ჰყოლია,

ახლო თავისიანებით გათქმულია და

სხვა-და-სხვა. ცხადი საქმეა, რომ გა-

4) ალღევის კარზე მთავარ-ანგე-

ლოზის ვერცხლის ხატი ზედ-წარწე-

რით ერისთავთ-ერისთავისა.

5) ხატი ღეთის-მშობლის მცვა-

ლებისა, ზედ-წარწერით, რომ შემკუ-

ლია იკლეს: აის ნივთებით იოანე ბა-

ტონიშვილისაგან 1810 წ. არშინი

სიმაღლე აქვს.

6) ბაბრიელ მთავარ-ანგელოზის ხა-

ტი ოქროთ დაფერილის ვერცხლისა,

ზედ-წარწერით არაგვის ერისთავისა,

ქრონიკონს 307 (ესე იგი 1619 წ.).

ძველთაგან ბევრი ვერცხლეული

იყოფა, ამბობს პლატონ მოსელიანი,

დიდი ჩარეკები, თასები და სხვანი,

ხოლო 1800 წლიდან ნელ-ნელა

იკარგებოდა. 1867 წელს ზოგი

ვერცხლეული გაჰყიდესო სამოც-და-

რობისა, ქრთამისა და წათესაობის

არჩევანში უპირატესობა მისცენ

რო გონიერს, ქვეითი განვითარებულ

და ქვეყნისთვის სასარგებლო, კაცს.

პირველი ორი სხდომა იყო 28

29 მაისს, სააზნაურო სახლში. მუ-

გვანათ, რომ ამ სახლში ნ. წ-

ლი სხდომას არ გამართოდა (ი-

„დრ.“ № 104), მაგრამ თურმე

სით რადგანც სარგებლობს წრულ-

ამიტომაც გაბედა აქ სხდომები, რ-

ყოველ შემთხვევისათვის მაგ. საყ-

ქაოდ შესაკმაზად ცოცხალი ზუთ-

ეზოსთან ჩამომარბენარ ჩიონში და-

ღებული იყოლიოს...

ჯერ-ჯერობით მხოლოდ არჩე-

იმ შეიღობდა პირის საჩივრებს, რ-

მელიც ღვეთუტათა ძრებას მიზნ-

მუთათურო აბაგები

თავად-აზნაურების კრება.

წარსულს ხუთშაბათს საკრებულო

ეკლესიაში შეიკრიბნენ მეკენჭე (შა-


ცოცხალი სურათები რეკონს-

ტვალსნიდაშ.

თ. ნ. ჩოლაყაშვილის თაოსნობ-

და ნიჭიერის მხატვრის ზინის და-

ლობით აქაურ სააზნაურო (საქმე-



და რჩენა უძნელდებოდათ, მაყურებელთათვის სასხლომი სცენა მარტო სურათებში პირათა იყო და ერთობ სურათთა იყო ფაქტურ-აგებულის, ტანისამოსი საგანგე-იყო შეკერილი მოთავე ნ. ჩო-შვილის მიერ...

და დაანთა: მთაში ამბობენ გეო, (ცხვი) ბარში ხევი; გუჩაში—აერთი (თითქმის ერთი) გეაჩა (გეიარა), სხვაგან—ერთი, გაი... რაჭაში ვო-რი, ანუ უკეთესად გამოსათქმელად, ჟორი; მთაში—სოფელში, სხვაგან—სოფელში.

**წმინდა-კითხვის ვაგაპრატული საზოგადოებისათვის**  
**წმინდა-კითხვის ვაგაპრატული საზოგადოებისათვის**  
**წმინდა-კითხვის ვაგაპრატული საზოგადოებისათვის**

ა) ხალხის სიტყვიერებით ნაწარმოე-ბი არის დიდი საუფრე საზოგადოდ მწერლობისა და საკუთრად პედაგო-ვისათვის. შოველი განათლებული სა-ზოგადოება ცდილობს შეჭკობოს ყო-ველ-გვარი სიტყვიერი ნაწარმოები ხალხისა და საყოველთაო კუთვნილე-ბად აქციოს.

ჩვენში დღევანდლამდე ძალიან მცი-რედ შეკრებილა და დაბეჭდილა ჩვე-ნის ხალხის სიტყვიერებით ნაწარმოე-ბი. მისი შეკრება და გამოქვეყნება მით უფრო საჭირო და სასარგებლოა, რომ ამ გვარი ნაწარმოებით ჩვენი ხალხი მდიდარია.

ამიტომ წყნა-კითხვის საზოგადო-ებამ განიზრახა შეკრიბოს და დაბეჭ-დოს ქართული სახალხო ლექსები, ზღაპრები, ანდაზები და სხვ. რადგანაც სახალხო მასწავლებელნი მუდამ ხალხში სცხოვრობენ და სხვა-ზედ უფრო ხშირი შემთხვევა აქვთ გაიგონ ერის სიტყვიერების ნაწარ-მოებნი, ამისათვის წყნა-კითხვის სა-ზოგადოება მათ მიმართაც თხოვნით, ამ კეთილის საქმის შესრულებაში და-ეხმარონ.

**დაწერის წესი.**

სიტყვიერ ნაწარმოებთა დაწერა ქვემო-ხსენებულის წესით უნდა მო-ხდეს: ა) შევლათფერი უნდა დაიწეროს სწორედ ისე, როგორც ხალხი ამბობს. დამწერმა თავის თავს ნება არ უნდა მისცეს მცირეოდენი ცვლილების მო-ხდენისა. ადგილობრივი გამოთქმა, სიტყვები, სიტყვების დალაგება ფრა-ზებში, ფრაზების ერთმანერთთან და-მოკიდებულება, ყველაფერი სასტი-კად უნდა დაიცვას დამწერმა; ის ად-გილები კი არ უნდა შესცვალოს, რომელიც უზროდ ეჩვენება. შურა-დლება უნდა მიექცეს მეტადრე პრო-ზად საწერსა, რომ ხალხის ენის კი-ლო და ფრაზების შეკავშირება ნამ-დვილი დარჩეს. სიტყვების წერის დროს, გამოთქმას ყურადღება უნდა მიექცეს და ისე დაიწეროს მაგ. საქარ-თველოს ზოგს ნაწილში ამბობენ: წამოიღო, ზოგან წამიღო, დაანთო

და დაანთა: მთაში ამბობენ გეო, (ცხვი) ბარში ხევი; გუჩაში—აერთი (თითქმის ერთი) გეაჩა (გეიარა), სხვაგან—ერთი, გაი... რაჭაში ვო-რი, ანუ უკეთესად გამოსათქმელად, ჟორი; მთაში—სოფელში, სხვაგან—სოფელში.

აქვე უნდა მოვიხსენოთ, რომ მთა ადგილებში (პრაგზე, ქსანზე ნაწი-ლად, თერგზე, ხევსურეთში და რა-ჭაში) ხმის კვეთება (ударение) გან-სხვავებული აქვს სიტყვის გამოთქმასა. მაგ. ბარში ვიტყვი, რაჭას მიედი-ვარ, ისინი იტყვიან, რაჭას მიედივარ; საჭიროა, საცა ასეთი განსხვავება შე-ხედეს დამწერსა, ეს ხმის კვეთება ნი-მუშად რადენსამე ლექსში დაინიშ-ნოს.

ბ) ზოგიერთა ლექსი ან ზღაპარი ანუ სხვა ნათქვამი ხალხში სხვა-და-სხვა ცვლილებით არის ან სულ მთლად, ან ზოგი ადგილები და სტრი-ქონები, ან რაენნიმე სიტყვა. ძალიან საჭიროა, რომ დამწერი მარტო ერთს რედაქციას არ დასჯერდეს, არამედ ყოველი განსხვავებაც აღნიშნოს სხო-ლიოებში, რომ ზოგში ესა და ეს ცვლილებააო. მა თუ სრულად ბევ-რი განსხვავებაა, მთლად დაიწეროს. ეს ცვლილების დაწერა იმიტომ არის საჭირო, რომ ხშირად მრთელს დიდს ლექსში ანუ ზღაპარში ორიოდ სამი სიტყვა, სხვა ცვლილებით ხმარებუ-ლი, მთელის თხზულების ფერსა სცე-ლის და ზოგჯერ ძვირფასს განძს შე-ადგენს.

გ) ზოგს ლექსს ან სხვა ნათქვამს მთქმელნი ახსნას უკეთებენ. ეს ახს-ნაც უნდა აღნიშნოს სხოლიოში მოხსენებით, რომ მთქმელის ახსნაა. რა ადგილიც, ანუ რომელიმე აზრი არ სიტყვა დამწერს არ ესმის, ჰკით-ხოს გლენს და, თუ მან ახსნა მისცა, საჭიროა, ამისი დაწერაც.

დ) ნაწერის ბოლოში მოხსენებუ-ლი უნდა იყოს, რომელ სოფელში გაიგონა დამწერმა მისგან დაწერილი ნაწარმოები ხალხის გონებისა, გვარი გლენისა, რომლის სიტყვიერაც დასწე-რა და რა დროს, ესე იგი, თარიღი დღისა, თვისა და წლისა.

აქ საჭიროა შენიშნოთ, რომ თუ მთქმელი მესტერი ან მეფანტურეა, ესეც მოსახსენებელია შენიშვნაში. ეს იმიტომ რომ ხშირად მეფანტურე ან მესტერი თვითონ სთხზავს ლექსებსა, ჯერ სახალხო ლექსად არ გადაქცეუ-ლა და მხოლოდ შემდეგ ხანებში ზო-გი მათი ლექსი სახალხოდ გადიქცევა ხოლმე.

ე) შეკეთები იქმნება დამწერმა სა-ხალხო ლექსების, ზღაპრების და სხვა თქმულობის მკოდნე მოხდენის სოფ-ლის ენა-მეტყველ კაცებში, მწყემსებ-ში, მესტერიებში და მეფანტურეებ-ში. ამათში უფრო მდიდარი მასალა მოიპოვება. აგრეთვე ძალიან საჭი-როა ვიცოდეთ, რომ ბევრი სიტყვი-რი ნაწარმოება, მეტადრე ზღაპრები, შელოცვა, ძველებური ლექსები, ლე-გენდები დედა-კაცებმა უფრო უკეთე-

სად იციან მამაკაცებზედ და უფრო მათ უნდა ეკითხოთ.

ვ) დამწერმა თავისი საწერი რეფუ-ლები უნდა გაჰყოს რადენსამე ნაწი-ლად და ერთგვარი ნაწერები ცალკე ნაწილში მოაქციოს. მაგ. ზღაპრები უნდა ცალკე დასწეროს, ანდაზები—ცალკე, ლექსები ცალკე და სხვა.

ზ) რეფულში დამწერმა უნდა მოა-წეროს თავისი სახელი და გვარი სრუ-ლად, რადგანაც წყნა-კითხვის საზო-გადოებას ჰსურს, როცა დაბეჭდეს ხალხის სიტყვიერების ნაწარმოებსა, მოიხსენოს, რომელი ნაწარმოები ვი-სის მეცადინეობით შეკრებილა.

**აი რა გვანძი იქმნება ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების:**

- I. ლექსები:
  - ა) სასულიერო, ისტორიული, გმი-რული, საომარი, სამიჯნურო, სამუ-შაო\*), საოხუნჯო, სასიმღერო\*\*).
  - ბ) აფორიზმები ლექსად, მაგ. „ჭირ-ში გატეხა არ ვარგა, თუ კაცი გო-ნიერია, წავა და ყველგან დარჩება, ქვეყანა ღონიერია“. ანუ, „კარგისა კარგიც მოკვდება და კარგიც დაიბა-დება“.
- II. ანდაზები.
- III. ზამოცანები.
- IV. მისი ვასატები.
- V. ზღაპრები და არაკები ყოველ გვარი, ისეთი კი რომლებიც დევებ-ზე ან პირუტყვებზე ანუ სხვა ზესთა-ბუნებობის და უსულო საგანზედ. რა-მელს ზღაპრსა, თუ არაკშიაც ლექსი იქმნება ჩართული, ზედ-მიყოლებით იმავე ალავას უნდა დარჩეს და ცალ-კედ არ უნდა დაიწეროს.
- VI. ლეგენდები ანუ იმ გვარი ამ-ბები, რომელნიც იპყრობენ სასწაულოთ მოქმედებათა და ამოდ მორწმუნება-თა, ყოველივე ამბავი, ხალხისაგან თქმული, შესახები სხვა-და-სხვა ადგი-ლებისა, ციხეებისა, ეკლესიებისა და მონასტრებისა, ანუ რომელიმე გამო-ჩენილის კაცისა, მაგალითებრ, ლე-გენდა სურამის ციხის აშენებაზედ.
- VII. ანეკდოტები ისტორიულნი და ყოფა-ცხოვრებითნი.
- VIII. შელოცვანი სხვა-და-სხვა სნე-ულებისა, პირუტყვისა, სიყვარულისა, სიძულელისა, არშეყოებისა და სხვ.
- IX. ამოდ მორწმუნებანი რომ-მელსამე ბუნების მოვლინებაზედ, ალა-მინის მოქმედებაზედ, პირ-უტყვებზედ, ანუ უსულო საგანზედ, მაგ. იტყვიან: ვინც მაწვის ქილას გამოლოკავს, ქორწილში წვიმა მოუვაო, კურდ-ღელმა რომ წინ გადაგობინოს, გზა დაგეცარებაო და სხვ.
- X. დამღევა კაცისაგან რომელიმე პირუტყვისა, ანუ პირუტყვისაგან კა-

\*) ზენის დრეს რასა მღერინ, თეს-ვის დრეს, მკის დრეს, ლეწვის დრეს, ბარვის დრეს, თახნის დრეს, რწვის დრეს, თიბვის დრეს, უფრძის წურვის დრეს და სხვ.

\*\*\*) ქორწილის დრეს, ნიშნობის დრეს და სხვა ამ გვარნი.

